პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2

აგვისტო
შაბათი
1969
ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 178 (14478)

ხუთწლედი — ვადამდე!

მინდვრად და საწარმოებში

ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში იონჯის მეორედ თიბვა მიმდინარეობს. საკვების დამამზადებელი ბრიგადა მართლაც დამკვრელურად მუშაობს. ერთ თვეში აქ გათიბეს და დაზვინეს 300 ტონა იონჯა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მემინდვრე მექანიზატორს რ. ლოლაძეს (სურათზე ზემოთ). მისი მანქანა შეუფერხებლად მუშაობდა.

12 წელია თბილისის პლასტმასის ქარხანაში მწნეხვის პროფესიას არ ღალატობს გ. ქირვალიძე (ქვემოთ). ცვლის დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის მას კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელი მიანიჭეს. გ. ქირვალიძე აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც არის.

ფოტო შ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



ნოგათი საქმოგლოს

გარდაბნელებმა შეასრულეს

მარცვლეულის ღამზადების გეგმა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ გარდაბნის რაიონის მშრომელები. მათ 31 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის წლიური გეგმა, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბეძაურმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. დათუაშვილმა.

გარდაბნელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.450 ტონა მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 ტონისა, რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 550 ტონა მარცვლეული.

გეგმა — ვადამდე

აბაშის რაიონის მეჩაიეებმა 30 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 495 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 494 ტონისა. გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ძველი აბაშის, ნორიოს, სეფიეთის, სამიქოს კოლმეურნეობებმა და ზანათის საბჭოთა მეურნეობამ. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარეიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. კუციამ.

ქართული ამწემექანიზმები

რუსთავი. (საკ. „კორ.“). ამწემშენებელი ქარხანა პირველი აპუშავდა რუსთავში. მაშინ იგი მომავალი მეტალურგიული გიგანტის ტექნიკურ ბაზად ითვლებოდა. ამის შემდეგ ორნახევარი ათეული წელი გავიდა. დღეს სრულდება მისი აპუშავებიდან 25 წლისთავი.

ამწემექანიზმს, რომელიც აქ ძირითად პროდუქციად ითვლება, უდიდესი გამოყენება აქვს სამშენებლო ინდუსტრიაში. რუსთავში დამზადებული მექანიზმით მრავალი მაღალსართულიანი სახლი აშენებულა თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ამ უკანასკნელ ხანს კი მასზე შეკვეთებს ჭაბუნიან კუბელი, სირიელი და პაკისტანელი მშენებლები.

ასლა ქარხნის კონსტრუქტორები მუშაობენ სრულიად ახალი ტიპის ამწე ხიდურის შესაქმნელად, რომელსაც თხუთმეტსართულიანი სახლების მშენებლობაზე გამოიყენებენ. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ეს ახალი ამწე ხიდური ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ვადაზე ადრე დაამზადოს.

ამ დღეებში ამწემშენებლებმა სასახარულო ცნობა მიიღეს მოსკოვიდან. მათ მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მეორე ადგილი დაიკავეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ფულადი პრემიაც დაისაკუთრეს. ქარხნის კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის საწარმოს სახელის მოპოვებისათვის. კომუნისტური შრომის საპატიო სახელს აქ უკვე ატარებს 14 ბრიგადა და სამი უბანი. ამ კოლექტივებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან გ. დავითულიანის, მ. რატიას, ნ. ვაკულინის და ა. კუზნეცოვის ბრიგადები. მათ 130-135 პროცენტით გაანადღეს შვიდი თვის დავალებანი.

1971 წლის ანგარიშში

ჯიათურა. (საკ. „კორ.“). ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივი მეექვსე წელია ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს. მან ჯიათურაში პირველმა მოიპოვა ეს სახელწოდება. კომუნისტური შრომის კოლექტივი რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს. მან უკვე შეასრულა შვიდი თვის დავალება, ზეგეგმითმა მოგებამ 27.600 მანეთი შეადგინა, მუშათა სტიმულირების ფონდში ჩარიცხულია 42.100 მანეთი.

ლენინურ შრომითს ვახტაზე დგანან საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც ნ. ცომაია, დ. ნადირაძე, ვ. ტყემალაძე და შ. ცქიტაშვილი ხელმძღვანელობენ. კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც პ. ბარბაქაძე, ვ. კაპანაძე, ი. ვარდოსანიძე, კ. იაკობაშვილი, ტ. ჯაოშვილი, გ. ბუაძე, გ. გველესიანი თავკაცობენ, უკვე შეასრულეს ხუთწლედის დავალებანი და პროდუქციას 1971 წლის ანგარიშში უშვებენ.

ახალი პროდუქცია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი მ. კიკნაძე), გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები.

ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ აითვისა — „მარსი-373“ ელექტროელემენტის გამოშვება. იგი ბევრად სჯობნის თავის წინამორბედ ელექტროელემენტს — „სატურნს“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ქმედითობისათვის

სკკპ XXIII კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში გაწეულია დიდი მუშაობა ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის. ამაღლდა მისი იდეურ-მხატვრული დონე, კრიტიკა გახდა მთელი ინტელიგენციური მუშაობის ქმედითი იარაღი. ამ დარგის მუშაკები ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს ხელოვანი ინტელიგენციის შემოქმედებითი მუშაობის წარმართვაში. ამის შედეგად რესპუბლიკაში არ ყოფილა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინების რეციდივის არც ერთი საყურადღებო ფაქტი. წამყვანი ქართველი საბჭოთა კრიტიკოსების ნამუშევრებში ძირითადად სწორად არის ასახული მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესი, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ჭიშკიდან შუქდება მხატვრული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მიმართულებანი, განიხილვრება შემოქმედებითი პროგრესის გზები.

თანამედროვე ქართული ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა მტკიცედ დგას კლასიკური ტრადიციების, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის, ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპის ნიადაგზე. ქართველ კრიტიკოსთა რიგებს განუწყვეტლივ ემატება ნიჭიერი ახალგაზრდობა.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომელმაც ამას წინათ განიხილა რესპუბლიკის ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მდგომარეობის საკითხი, აღნიშნა, რომ გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში ქართული საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა სრულად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, ჯერჯერობით იგი ვერ გახდა ლიტერატურულ-მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი, მაორგანიზებელი ძალა.

ცალკეულ კრიტიკულ სტატიებში ყოველთვის მძაფრად, კლასობრივი და პარტიული პოზიციებიდან როდი არის შეფასებული მხატვრული ნაწარმოებები. კრიტიკას ჯერ კიდევ აკლია საბრძოლო, შეტევითი სულისკვეთება. ხშირად კრიტიკულ მსჯელობას ახასიათებს სუბიექტივიზმი, დაუსაბუთებელი ქება-დიდება ან ასევე დაუსაბუთებელი ლანძღვა. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა ცალკეული შემოქმედი მუშაკები ავადმყოფურად აღიქვამენ კრიტიკას. ზოგიერთი კრიტიკოსი ივიწყებს, რომ ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებიწ საქმეში.

არცთუ მაღალ დონეზეა თანამედროვე ქართული კინო, თეატრალური და მუსიკალური კრიტიკა.

შემოქმედებითმა კავშირებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო დაინტერესება ლიტერატურულ-მხატვრული აზრის შემდგომი განვითარების საქმეში. კავშირების ხელმძღვანელები ყოველთვის როდი იძლევიან სუსტი მხატვრული ნაწარმოებებისადმი კრიტიკული მიდგომის მაგალითს, ძალიან იშვიათად მიჰდავენ პრესაში სტატიებს კრიტიკის პრობლემურ საკითხებზე, სუსტად მუშაობენ კრიტიკის სექციები. შემოქმედებითი კავშირების პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის მწვავედ და პრინციპულად როდი ეკიდებიან შეცდომებსა და ხარვეზებს ცალკეული ავტორების შემოქმედებაში.

რესპუბლიკური, პარტიული და კომკავშირული პრესა ჯერ კიდევ ვერ აშუქებს სათანადოდ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს, პრინციპულ შეფასებას არ აძლევს ლიტერატურულ ნაწარმოებებს, თეატრალურ დადგმებს, კინოფილმებს, მხატვართა ნამუშევრებსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს, ლიტერატურულ-მხატვრულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიები ხშირად ვერ დგებიან მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური და სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები ჯერჯერობით ვერ აშუშაგებენ თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების აქტუალურ პრობლემებს.

ამასთანავე სწორედ ახლა, როცა უზომოდ გაიზარდა ლიტერატურისა და ხელოვნების როლი საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მისი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებაში, ქართული საბჭოთა კრიტიკა მოწოდებულია გაზდეს კიდევ უფრო ქმედითი, მწვავე, კლასობრივი და პარტიული პოზიციებიდან გამოდიოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ემზადება რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენმა კრიტიკამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ხალხის გმირული შრომის შესახებ.

რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის განვითარებას, მის აყვანას თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე. ამისათვის პრაქტიკულად უნდა დავნერგოთ კრიტიკის მდგომარეობისა და განვითარების საკითხების მოსმენა და განხილვა, უფრო აქტიური და შინაარსიანი გავხადოთ კრიტიკის სექციათა მუშაობა, მოვაწყოთ დისპუტები და დისკუსიები კრიტიკული აზროვნების პრობლემურ საკითხებზე. ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ კრიტიკოსთა ფართო წრე, კვალიფიციური ლიტერატორები და ხელოვნებათმცოდნეები; ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას.

შემოქმედებითი კავშირების პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას, აამაღლონ პარტიული სწავლების დონე, ეცადონ, რომ თვითეული შემოქმედებითი მუშაკი მონაწილეობდეს რაიმე ფორმის პარტიულ განათლებაში და ყოველდღიურად იმაღლებდეს პოლიტიკურ ცოდნას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკური და საოლქო, პარტიული, კომკავშირული და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მისცა გადაჭრით გააუმჯობესონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის გაშუქება, სისტემატურად გამოქვეყნონ და გადასცენ კრიტიკული სტატიები, მიმოხილვები, რეცენზიები, საპრობლემო, განმაზოგადებელი სტატიები.

გადაწყვეტილია პერიოდულად მოეწყოს კონკურსები ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის. შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებანი მოვალენი არიან სისტემატურად იმუშაონ ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის საპრობლემო საკითხების დასამუშავებლად.

(საქდესი).

ოფიციალურ ცნობათა კუთხე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მინერალური სასუქების საწარმოთა მუშაობის მიმდინარეობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება მინერალური სასუქების, მათი ნედლეულისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების საწარმოთა მშენებლობისა და ამოქმედების 1969 წლის დავალებები და მიიღო სპეციალური დადგენილება ამ საწარმოთა მშენებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროსა და ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს მითითება მიეცათ განაახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ყველა პირობებში შესრულდეს მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის, აგრეთვე მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების საწარმოთა ამშუშავების 1969 წლის დავალებანი.

სამინისტროები ვალდებული არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ჩამორჩენა მშენებლობაში, განსაკუთრებით ისეთ დიდ საწარმოთა მშენებლობაში, როგორიც არის ბერეზნიკის, სუმის, როზდოლის, სოლიგორსკ პირველი და მეორე, გორლოვკის, აქტიუბინსკის, ნოვო-კემერეოვოს, ჩერნორეჩენსკის, გაურდაკის კომბინატები, კარატაუს სამთო-ქიმიური კომბინატი, ბერეზნიკის, როვნოს, ყირიმის, გროდნოს, გომელის, სტერლიტამაკის, კონსტანტინოვსკის, ჯამბულის, უკაროვოსა და კუიბიშევის ქარხნები, აგრეთვე ზემო კამის მაღარო.

ამასთან ერთად ქიმიური მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის, შავი მეტალურგიის სამინისტროებსა და სამშენებლო სამინისტროებს დაეკალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა 1970 წლის II-III კვარტალებში უზრუნველყონ მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის საწარმოთა ამოქმედება ნავოის, ბერეზნიკის მეორე, სოლიგორსის მესამე, სუმის, ჯეზკაზგანის, მაგნიტოგორსკის კომბინატებში, ინონავის, გროდნოს, როვნოსა და კონსტანტინოვსკის ქარხნებში (ამ სიმძლავრეთა ამუშავება გათვალისწინებული იყო მთელი წლის მანძილზე).

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მოსამზადებელი სამუშაოები, რათა ათვისებულ იქნას მინერალური სასუქების, მათი ნედლეულისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა 1969 წელს ასამუშავებელი სიმძლავრეები, სამრეწველო საექსპლოატაციო კადრების დროული მომზადება და ამ ობიექტების კადრებით დაკომპლექტება.

გოსბანკმა სამინისტროს დაევალა განიხილოს და გადაწყვიტოს საშენ მასალათა და კონსტრუქციათა გადაზიდვასთან დაკავშირებული საკითხები, რათა უზრუნველყოს აღნიშნულ საწარმოთა მშენებლობის დავალებანი შესრულება, აგრეთვე სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსთან ერთად დაჩქარეს დამატებითი სარკინიგზო ხაზების გაყვანის სამუშაოები კიზელ-ბერეზნიკის უბანზე მინერალური სასუქების შეუფერხებელი გადაზიდვის უზრუნველსაყოფად.

სახალხო მოსმარების საქონლის გამოშვების გაფართოებისათვის მთავრობამ მიიღო დადგენილება მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, ვაჭრობის საწარმოთა და ქიმიური ბოჭკოს და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის საწარმოთა მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო და ქიმიური ნედლეულის სულ უფრო მზარდი რესურსების გადასამუშავებელი სიმძლავრეების შექმნის ამოცანა მოითხოვს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, ვაჭრობის და ქიმიური ბოჭკოებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის საწარმოთა დაჩქარებულ განვითარებას, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე. მაგრამ კაპიტალური მშენებლობის გეგმები და ამ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი ჯეროვნად არ სრულდება და ბევრი ობიექტი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმის შესრულებაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამშენებლო სამინისტროებისა და უწყებების და შესაბამისი შემკვეთი სამინისტროების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაძლიონ ჩამორჩენა მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, ვაჭრობის, ქიმიური ბოჭკოებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის წარმოების ობიექტების მშენებლობაში და უთუოდ შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმებით დადგენილი ამ დარგების განვითარების დავალებანი.

სამშენებლო სამინისტროებსა და უწყებებს, შემკვეთ სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ევალებათ უზრუნველყონ მრეწველობის აღნიშნული დარგების მშენებლობებზე საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების 1969 წლის დავალებათა უთუოდ შესრულება, აგრეთვე შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ამ დარგების მშენებლობაზე დასაქმებულ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეების გადიდებისათვის, ამასთან გათვალისწინონ, რომ 1970 წელს დიდდება სამუშაოთა მოცულობა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი.

ამასთან ერთად მიეცათ მითითება განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ საფუძვლიან უზრუნველყონ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და დაკომპლექტონ მუშებით მრეწველობის ზემოაღნიშნული დარგების საწარმოთა მშენებლობაზე დასაქმებული ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა ის ორგანიზაციები, რომლებიც ასამოქმედელი ობიექტების მშენებლობაზე არიან დასაქმებული.

ამას გარდა, დადგენილებით გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მრეწველობის სამ დარგების საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ამოქმედების დადგენილ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

კონტინენტური შელფის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის კონტინენტურ შელფზე სამუშაოთა შესრულების წესისა და მისი ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის შესახებ“. დადგენილია, რომ სსრ კავშირის კონტინენტური შელფის* ბუნებრივ სიმდიდრეთა კვლევა, დაზვერვა და დამუშავება დასაშვებია მხოლოდ დადგენილი წესით მათი რეგისტრაციის შემდეგ. სსრ კავშირის კონტინენტურ შელფზე ნაგებობათა და სხვა დანადგარების აგება, მათი შენახვა და ექსპლოატაცია, დაცვა და ლაკვიდაცია წარმოებს იმ სამინისტროთა და უწყებათა მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად, რომლებიც ეწევიან შელფის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაზვერვასა და დამუშავებას.

ორგანიზაციები და პირნი, რომლებიც კონტინენტურ შელფზე ასრულებენ სამუშაოებს, მოვალენი არიან რაციონალურად გამოიყენონ შელფის ბუნებრივი სიმდიდრენი, არ გააჭუჭყიანონ შელფი და მისი წყლის გარემო სამრეწველო და სხვა სამეურნეო ნარჩენებით, ჩანადენი წყლებით, რადიოაქტიური ნივთიერებებით, წარმოების ნარჩენებით და განახორციელონ ღონისძიებანი მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დასაცავად.

სსრ კავშირის კონტინენტურ შელფზე სამუშაოთა შესრულებისას შესაბამისი ორგანიზაცია სახელმწიფო ზედამხედველობას უწევენ იმ წესებისა და მოთხოვნების შესრულებას, რომლებსაც უნდა იცავდნენ შელფის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების დროს. სსრ კავშირის კონტინენტური შელფის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა ეკისრებათ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს თევზის დაცვის ორგანოებს.

*) ამ წყალქვეშა რაიონების ზღვის ფსკერის ზედაპირი და წიაღი, რომლებიც ეკავრიან საბჭოთა კავშირის სანაპიროს, ან კუნძულებს.

მოსკოვის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

რეზოლუციის პრესა იუწყებოდა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება 1969 წლის 12 აპრილის სრულიად საკავშირო საუბიერო შაბათობაში უსასყიდლო შრომის შედეგად მიღებული სახსრებით მოსკოვში აშენდეს დიდი ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ყოველმხრივ შეიარაღებული და დაამუშავებს კიბოს დაავადებათა აღკვეთისა და მკურნალობის პრობლემებს.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის მთავრობამ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაავალა 1971-1975 წლებში აშენოს შენობებისა და ნაგებობების (მათ შორის ათასადგილიანი კლინიკის) კომპლექსი მოსკოვში ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრისათვის, სასტუმროები ჩამოსულ მეცნიერთათვის, საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ამ ცენტრის მუშაკთათვის.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცა საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციათა ძალებით უზრუნველყოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ობიექტების მშენებლობის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და „ვლადმოსსტროის“ ძალებით შეასრულოს ამ ობიექტების მშენებლობის სამუშაოები დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში. პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის დამუშავება დაეკისრა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

ქრონიკა

ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი იქმნება იაროსლავლში, ეს უნივერსიტეტი პირველ სტუდენტებს მიიღებს 1971 წელს.

კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი გაჩნდება 1969 წელს კემეროვოში. ეს არის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

ვილნიუსში კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ბაზაზე შეიქმნება ლიტვის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.

(„იზვესტია“ — საკდესი).

მეგობროგის კონცერტი

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში უზბეკური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დასკვნითი კონცერტი

ათ დღეს იყო სტუმრად რუსეთში უზბეკეთი. უზბეკური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში დაიწყო ქალაქ გორკში, გაჰყვა ვოლგას, გაიარა ყაზანი და ჩავიდა ულიანოვსკში — დიდი ლენინის სამშობლოში! 31 ივლისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა უზბეკური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დასკვნითი კონცერტი.

უზბეკეთის წარმომადგენლებს მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. პ. ჩირკოვი. დეკადის მონაწილეთათვის გაწეული სტუმართმოყვარეობისა და გულთბილობისათვის სპასუხო სიტყვაში მადლობა გადაიხადა უზბეკეთის სახალხო პოეტმა ზულფიამ.

— ჩვენ აქ ჩამოვედით და თან ჩამოვიტანეთ ლენინის სიყვარული. ლენინის სამშობლო ჩვენი სამშობლოა, — თქვა მან.

ბევრმა შესანიშნავმა ხელოვანმა გაუთქვა სახელი ძველ და მარად ახალგაზრდა უზბეკურ ხელოვნებას. ეს კონცერტი თითქოს ილუსტრაცია იყო მუსიკალური კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა — დაწყებული რუბაიების მომღერლებით და დამთავრებული თანამედროვე ავტორების სიმფონიური ქმნილებებით, დაწყებული ტრადიციული ხალხური ცეკვებით და დამთავრებული კლასიკური ეროვნული ქორეოგრაფიით. სიმბოლურია ისიც, რომ ამ კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც სახელგანქმული ოსტატები, ისე სულ ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებიც პირველ დამოუკიდებელ შემოქმედებითს ნაბიჯს დგამენ.

ამ საღამოს გამოვიდნენ რესპუბლიკის ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი „ბახორი“, ანსამბლი „ლაზგი“, ყარა-კალპაკეთის ბერდახის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, უზბეკეთის სსრ ალიშერ ნავოის სახელობის აკადემიური დიდი თეატრის საბალეტო დასის მსახიობები, მომღერლები ს. კაბულოვა, რ. ლაუტი, ვ. ხვალევი, ვ. გრინჩენკო, ბ. და ლ. ზაქიროვები, ს. ბეგნიმინოვი და სხვები.

კონცერტის დასასრულს სცენაზე გამოჩნდა მშრომელთა ქალაქი, მამაც ადამიანთა ქალაქი—ტაშკენტი. გუნდი ადიდებს სამშობლოს, პარტიას, ლენინს, რომლებმაც ახალი ბედნიერი ცხოვრება მოიტანეს უზბეკეთის უძველეს მიწა-წყალზე.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. ანდროპოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, მ. ს. სოლომენცევი. აქვე იყვნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. მ. მატჩანოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. ისანოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. კორეგასოვი. (საკდესი).

დარწმუნების ხელოვნება

პოლიტიკური აგიტაცია ცხოვრებაში

პოლიტიკური აგიტაცია, როგორც მასების კომუნისტური აღზრდის, დარწმუნებისა და მობილიზების მძლავრი საშუალება, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს პარტიის მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტაში ჩვენი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

ახლა, ვ. ი. ლენინის იუბილესთვის მზადების დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმს, რომ პოლიტიკური აგიტაციის ძალა, შესაძლებლობა გამოვიყენოთ მშრომელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის აღზრდისათვის ლენინის დიადი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე. ჩვენი რესპუბლიკის ბევრ საწარმოსა თუ საზოგადოებრივ მეურნეობაში თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებით ფართოდ ასახავენ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა პერიოდს, პარტიის ხელმძღვანელ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას, იდეური რწმენის განმტკიცებას, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. ამავე საქმეს ემსახურება პოლიტიკურ-საგანმანათლებლო აგიტატორთა და აგიტატორთა საუბრები, მიძღვნილი ლენინური იდეების პროპაგანდისადმი.

პოლიტიკური აგიტაციის წინაშე ახალი ამოცანები ისახება კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგების, მის მიერ მიღებული დოკუმენტების პროპაგანდასთან დაკავშირებით. ახლა ამოცანა ის არის, რომ ამ საქმეში ჩავაბა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ძალა — მომხსენებლები, პროპაგანდისტები, ლექტორები, პოლიტინფორმატორები, აგიტატორები, გამოვიყენოთ მისი მრავალფეროვანი ფორმები და საშუალებანი — ლექციები, მოხსენებები, საუბრები, თეორიული კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები. მშრომელებს ღრმად, დამაჯერებლად უნდა განვუმარტოთ თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტების მნიშვნელობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი შეკავშირებისათვის, ასევე დიდი შეფასება, რაც მოძმე პარტიებმა მისცეს ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში, ჩვენს წვლილს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში.

თათბირის მასალების პროპაგანდას რომ ვეწევით, მიზნად უნდა დავისახოთ ავუამაღლოთ ადამიანების იმის შეგნება, რომ სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება წარმოადგენს მშრომელთა უმაღლეს პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას, მათს მნიშვნელოვან წვლილს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლიტიკური აგიტაციის ქმედითობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა მასში ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობა. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმისა და სხვა ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ დამკვიდრდა ხელმძღვანელ მუშაკთა რეგულარულად გამოსვლა ლექციებითა და მოხსენებებით. ეს მნიშვნელოვნად აფართოებს პოლიტიკური აგიტაციის გავლენის სფეროს, ამაღლებს მის ქმედითობას. ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ასრულებს პოლიტინფორმატორთა მოვალეობას, შედის პარტიულ კომიტეტთან არსებულ მომხსენებელთა ჯგუფებში. სულ უფრო მკვიდრდება ხელმძღვანელ მუშაკთა პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმის ისეთი ფორმები, როგორიც არის „ლენინური პარასკევი“, „ლენინური კითხვა“, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

თვითეული ხელმძღვანელი მუშაკი ყოველი გამოსვლისას უურადღებით უნდა სწავლობდეს მშრომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს, ზრუნავდეს მათი რეალიზაციისათვის, ; ეხმაურებოდეს ცხოვრების მოთხოვნებს.

როგორც ცნობილია, სკკპ XXIII ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა მთელი პოლიტიკური აგიტაცია ააგონ მოსახლეობისათვის ფართო და სისტემატური ინფორმაციის მიწოდებაზე ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა განვლილ პეროდში. სულ უფრო ფართოდ იქმნება პოლიტინფორმატორთა ჯგუფები, რომლებიც დამსახურებული აგტორიტეტით სარგებლობენ, მაღლდება პოლიტ-ინფორმაციის იდეურ-პოლიტიკური შინაარსი, მისი ოპერატიულობა და ქმედითობა.

მაგრამ მოსახლეობის ინფორმირებაში, პოლიტინფორმატორთა საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მთავარი ნაკლი კი ის არის, რომ ადგილებზე ყველგან მაღალი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის პოლიტიკურად, თეორიულად და მეთოდურად მომზადებული კადრებით დაკომპლექტებას, ზოგჯერ აგიტატორებს გადაამტკიცებენ პოლიტინფორმატორებად და ამით საქმეს დამთავრებულად თვლიან. არის შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაცია სრულებით არ ქმნის პოლიტინფორმატორთა ჯგუფებს და ამას კადრების ნაკლებობით ხსნის, ამასთან არ ზრუნავს მომავალ პოლიტინფორმატორთა მომზადებისათვის.

უფრო მეტ ნაკლსა და გაუგებრობას აქვს ადგილი პოლიტინფორმატორთა სწავლებაში, მათ მეთოდურ დახელოვნებაში. ზოგან პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ნაკლებად ზრუნავენ ადგილებზე პოლიტინფორმატორთა სწავლების არსებული სისტემის გამოყენებისათვის.

საქმის ინტერესები მოითხოვს თვითეული პოლიტინფორმატორი მშრომელთა წინაშე ბამოდიოდეს გარკვეული მომართულებით, იმ დარგში, რომელიც მას ყველაზე მეტად ეხერხება და აინტერესებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძალიან სუსტად ვიყენებთ პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის უპირატესობას, ჯეროვნად ვერ ვახორციელებთ მათს სპეციალიზაციას. იქაც კი, სადაც ამისათვის საკმაო კადრებია. თუ ეს ასე არ არის, მაშრით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ისეთ მძლავრ და მომზადებული კადრებით მდიდარ საწარმოებში, როგორიც არიან თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, № 1 თამბაქოს ფაბრიკა, ქუთაისისა და ბათუმის მთელი რიგი დიდი ფაბრიკა-ქარხნები, დანერგილი არ არის ეს სიახლე?

სწორად არ იქცევიან ისინიც, ვინც მოსახლეობის ინფორმირებას აკისრებენ მხოლოდ პოლიტინფორმატორთა ჯგუფებს და არ იღებენ ზომებს იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრი საშუალებების — პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სინფორმაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ხშირად, როცა ლაპარაკობენ პოლიტიკური ინფორმაციის განვითარებაზე, საქმეს ისე წარმოდგენენ, რომ იგი ზეთქოს ცალკე, აგიტაციისაგან დამოუკიდებლად არსებობდეს. პოლიტიკური ინფორმაცია აგიტაციის შემადგენელი ნაწილია, მისი ფაქტიური დასაყრდენია. ინფორმაციის განვითარება კი არ აუქმებს აგიტაციის საჭიროებას, არამედ ქმნის მისი ეფექტიანობის ამაღლების წინაპირობას. პოლიტიკური ინფორმაცია ახდენს საზოგადოებრივი აზრის სწორ ფორმირებას, რაც ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს მთელი საგაგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებაში, ადამიანთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებაში.

ადგილებზე ბევრ სცოდავენ ინფორმაციის ოპერატიულობის საქმეში, არ ითვალისწინებენ, რომ მოვლენების არადროული, დაგვიანებული კომენტარი მიზანს ვერ აღწევს. მაგრამ ოპერატიულობამ არ უნდა გამოიწვიოს საკითხის ნაჩქარევად განმარტება, ზიანი არ უნდა მიაყენოს საუბრის შინაარსს, იდეურ დონეს.

დასამალავი არ არის, რომ ბოლო წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება აგიტკოლექტივებისადმი, რითაც გარკვეული ზიანი მიაყენეს საგაგიტაციო მუშაობის ეფექტიანობას. ზოგან პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის შემოღება ისე გაიგეს, თითქოს საჭირო აღარ იყოს აგიტატორები. უნდა გვახსოვდეს, რომ საგაგიტაციო მუშაობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს არსებობდეს მისი ორივე ორგანიზაციული ფორმა — აგიტკოლექტივიც და პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტიც, განსაკუთრებით წარმოების სფეროში.

საგაგიტაციო მუშაობის თანამედროვე ამოცანების დონეზე დაყენება მოითხოვს სწორ, მოქნილ პარტიულ ხელმძღვანელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიული კომიტეტები, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები სისტემატურად ასწავლიდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, იდეოლოგიურ კადრებს იმას, თუ როგორ მოაწყონ პოლიტიკური მუშაობა, როგორ გაუმჯობესონ მისი შინაარსი, რა ბეთი მოახდინონ იდეური გავლენა თვითეულ კოლექტივზე, ყოველ ადამიანზე. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს იმათ მიმართ მოთხოვნისა და კონტროლის გაძლიერებას, ვინც მასებში ეწევა პოლიტიკურ მუშაობას.

საგაგიტაციო მუშაობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას რომ ვახორციელებთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, თუ როგორ იცავენ ადგილებზე პოლიტიკური აგიტაციის ლენინურ პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოვლენებისადმი კლასობრივ მიდგომას, პარტიულობასა და პრინციპულობას, ცხოვრებასთან აგიტაციის მჭიდრო კავშირს.

საჭიროა პოლიტიკური აგიტაციისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას ვახორციელებდეთ საქმიანად, ვიღებდეთ მოფიქრებულ, კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, მონდომებით ვიბრძოდეთ მათი რეალიზაციისათვის. ამასთანავე აუცილებელია გავითვალისწინოთ ადამიანთა მოთხოვნები, მისწრაფებები, მასების განწყობილება, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის თავისებურება, მათი კულტურული დონის ზრდა და ამის მიხედვით სრულვყოთ საგაგიტაციო მუშაობის ფორმები.

და ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა საბჭოთა ხალხი იბრძვის ბუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის იუბილის ღირსეულად შეხვედრისათვის, როცა განსაკუთრებით გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

დ. კაკაბაძე.

პარტიის გეგეჭკორის რაიონული კომიტეტი ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად. დროდადრო ეწყობა მათი შეკრება, სადაც განიხილავენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, ამ სურათზე ხედავთ ახალგაზრდა კომუნისტებს (მარცხნიდან) მ. გაგუას, ალ. დანელიას, შ. სიგუას, ი. ჯანჯღავას და გ. დანელიას, რომლებიც პარტიულ კაბინეტში ეცნობიან მასალებს ვ. ი. ლენინის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ფოტო ბ. ჯაველიძისა.

განვიხილავთ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტს

ჩვენი აზრით ასე აჯობებს

კოლმეურნეობის (სასოფლო სამეურნეო არტელის) სანიმუშო წესდების პროექტის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ ჩემი მოსაზრება მინდა სხვებსაც გავუზიარო.

მე-7 პუნქტის მეორე აბზაცში მითითებული ვადა დაზუსტებას საჭიროებს. იქ ნათქვამია, რომ კოლმეურნეობის გამგეობა ყოფილ კოლმეურნეს მთლიანად უსწორებს ანგარიშს არაუგვიანეს ერთი თვისა კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის დამტკიცებიდან. უმჯობესია იყოს „...წლიური ანგარიშის საერთო კრებაზე დამტკიცებიდან“, რადგან საერთო კრების შემდეგ წლიურ ანგარიშს ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი. პროექტის 22-ე პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს ასე: „კოლმეურნეობა იყენებს ოპერატიულ და საბუღალტრო აღრიცხვას. დამტკიცებული ფორმების მიხედვით დადგენილ ვადებში ზემდგომ ორგანოებს უდგენს სტატისტიკურ ანგარიშს“ და ა. შ.

პროექტის 27-ე პუნქტის ბოლო აბზაცის მიხედვით გამომუშავების ნორმებს და სამუშაო შეფასებებს ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა. ჩვენი აზრით, გამომუშავების ნორმები და შეფასებანი, მათი სიზუსტისა და მისაღებლობის შეცდომების თავიდან აცილების, აგრეთვე კოლმეურნეთა მხრივ პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით საჭიროა კოლმეურნეობის გამგეობაზე წინასწარი განხილვის შემდეგ მტკიცდებოდეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.

წესდების პროექტის 34-ე პუნქტში მითითებულია, რომ წარმოებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის კოლმეურნეთა წასახალისებლად კოლმეურნეობის საერთო კრება, სხვა ზომებთან ერთად, ცალკეულ კოლმეურნეებს ანიჭებს „საპატიო კოლმეურნის“, „დამსახურებული კოლმეურნის“ წოდებას. ჩვენი აზრით, ასეთი წოდების მინიჭება კოლმეურნეობის გამგეობისა და საერთო კრების წარდგენით უნდა ხდებოდეს ზემდგომი საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ეს უფრო დაინტერესებს და წაახალისებს კოლმეურნეებს.

44-ე პუნქტში გათვალისწინებულ შეღავათებთან ერთად, რომლებითაც სარგებლობენ სოფლად მომუშავე მასწავლებლები, იქმიები და სხვა სპეციალისტები, უნდა განისაზღვროს ამ უკანასკნელთათვის გადასაცემი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ოდენობა.

კ. ელიზბარაშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

წინადადებანი, შენიშვნები

◉ **დიდი** ინტერესით გავეცანი კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტს. და ჩემი მოსაზრება ასეთია: მეათე თავის 48-ე მუხლში ჩაწერილია, რომ პირუტყვის ყოლა წესდებით დაწესებული ნორმების გადამეტებით აკრძალულია. მას დაემატოს: „კოლმეურნეობის გამგეობას უფლება აქვს იმ პირთ, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი წესდებით დაწესებული ნორმის ზევით, ჩამოართვას პირუტყვი კოლმეურნეობის სახარგებლოდ უსასყიდლოდ“. ეს გამოხატავს საერთო ინტერესს.

დ. ყოჩიაშვილი,
თელავის რაიონის ჯუღაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

◉ **ჩვენი** კოლმეურნეობის წევრებმა მოიწონეს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტი და გამოთქვეს ზოგიერთი აზრი: მერვე თავში „კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფა“ დაემატოს მუხლი კოლმეურნეების შვებულებაში გაშვების შესახებ და ჩაიწეროს: „კოლმეურნეებს მიეცეთ როგორც ფასიანი, ის უფასო შვებულება. რიგითი კოლმეურნეებისათვის შვებულება განისაზღვროს 14 სამუშაო დღით, მექანიზატორების, მანქანების მძღოლებისათვის — 24 სამუშაო დღით“.

ი. უვავაძე,
ზესტაფონის რაიონის მარტოთუბნის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

რ. ფერაძე,
კოლმეურნე.

ფიქრები დროშამ გვაამაყნო

ეროვნული

სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმში სხვადასხვა [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საერთაშორისო ინფორმაცია

ერთიანი ბიულეტენი

კომუნისტთა ერთობისათვის

დასავლეთი ბერლინი, 31 ივლისი. (საკ.). სტატიაში „კომუნისტთა ერთობა პირველი მოთხოვნაა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში“ დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის ორგანო გაზეთი „დი ველტი“ დღეს აანალიზებს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგებს. მოსკოვის თათბირმა, ხაზს უსვამს გაზეთი, დასახა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების ახალი ეტაპი.

„საერთაშორისო თათბირის მნიშვნელობა“, ნათქვამია შემდეგ, — უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ იგი არ შემოიზღუდა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის აქტუალური ამოცანების ფორმულირებით, არამედ შეიმუშავა ერთიანი მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის საკითხებზე და განავითარა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა. დიდი ერთსულოვნება, რომელიც მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მონაწილეებმა გამოიჩინეს, გამოვლინდა საბჭოთა კავშირისა და ლენინის პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის მაღალ შეფასებაში, რომელმაც თავისი მარქსისტულ-ლენინური პრინციპულობით, თავისი მდიდარი გამოცდილებითა და ჭეშმარტად ინტერნაციონალური პოზიციით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო თათბირის წარმატებას“.

მოსკოვის თათბირის დოკუმენტები და თათბირის მონაწილეთა სიტყვები, აღნიშნულია სტატიაში, თვალნათლივ ასახავენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელ ძალასა და მის მნიშვნელობას ჩვენს დროში. „ყველაზე მთავარი, ყველაზე საარსებო ამოცანა — ეს არის მოკავშირეობის ერთიანობის განმტკიცება იმპერიალიზმის — კაცობრიობის დაუძინებელი და ყოველგვარი საზოგადოებრივი პროგრესის მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — წერს დასასრულ გაზეთი.

ლაჯინური ოპოზიცია

მეგობრობა სულ უფრო განმტკიცდება

პრაღა, 1 აგვისტო. (საკ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დელეგაციამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით, რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფება ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში, ვუშინ ოლშანსკის სასაფლაოზე გვირგვინი შეამკო საბჭოთა მეომრების ძმათა საფლავი, რომლებიც დაიღუპნენ ფაშისტი დამპყრობლებისაგან ჩეხოსლოვაკიის ბრძოლაში.

შემდეგ ვ. ვ. გრიშინი შეხვდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ხელმძღვანელებსა და აქტივისტებს.

ნაშუადღევს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პრაღის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის დიდ კრებაში, რომელიც პრაღის ახალი რაიონის დარბაზში გაიმართა და მიეძღვნა მოსკოვის კომუნისტთა წარმომადგენლების ვიზიტს. კრების მონაწილეენი გულთბილად შეხვდნენ მოსკოველ სტუმრებს. გაისმოდა ლოზუნგი „საბჭოთა კავშირთან სამარადისოდ“.

გახსნა რა კრება, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. მატეიკა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ-სოციალური კავშირისა და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის შეთქმულება სეროზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ხალხს. ამიტომ დრო მოითხოვს ყველა დემოკრატის ერთობლივ მოქმედებას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ დაშალონ ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, ჩვენ კვლავაც ვიხმობთ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელ პოლუბიკოსთა ფარულ და აშკარა თანამშრომლობას ნეონაცისტებთან. ჩვენ სავსებით მომზრენი ვართ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიქმნას ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა და ნეონაციზმის წინააღმდეგ მებრძოლი სამოქალაქო კომიტეტები. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასეთი ვითარება, რომ სოციალ-დემოკრატები უმოქმედოდ ირიან და მთავრობაში თანამშრომლობენ ნეონაციზმის მფარველებთან“.

კანონიერი შეშფოთება

ვაშინგტონი, 1 აგვისტო. (საკ.). ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა შეშფოთებულია სკანდალური მხილებებით, რომელთა შედეგად გამოირკვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არათუ განაგრძობს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის კვლევას, არამედ მისი დიდი მარაგი აქვს სამხედრო საწყობებში საზღვარგარეთ.

დედაქალაქის გაზეთი „ვაშინგტონ ოვნინგ სტარის“ მიმომხილველი იმოწმებს ამ დარგის ცნობილი მეცნიერის ზეზელსონის ცნობებს და თავის სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ზვიდი სახეობის ქიმიური იარაღი, მათ შორის ვაზი „BX“, რომლის ერთი წვეთის ტანზე მოხვედრა სიკვდილს იწვევს.

მღელვარება ლუიზიანაში

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. (საკ.). ლუიზიანის შტატის დედაქალაქ ბატონლუჟში შემოიღეს კომენდანტის საათი. გუბერნატორის ბრძანებით ქალაქში გამოცხადდა საგანგებო წესები, სამხრეთელ გვარდია. ბატონ-რუჟის ქუჩებს პატრულობენ პოლიციის გაძლიერებული ქვეგანყოფები.

„სიფრთხილის ასეთ ღონისძიებათა“ საბაბი გახდა მოსახლეობის მასობრივი ღელვა. ინციდენტი, რომელიც გუშინ გაიმართა. დემონსტრაციის მონაწილეებმა გულისწყრომით განაცხადეს პროტესტი იმის გამო, რომ პოლიციელებმა მოკლეს ჩვიდმეტი წლის ზანგი ჯეიმს ოლინეი.

დემონსტრანტებმა, რომლებიც აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ პოლიციელები სულ უფრო ხშირად და უმიზეზოდ ესხმიან თავს ზანგებს, ქვა და ცარიელი ბოთლები დაუშინეს შტატის ადმინისტრაციულ შენობებს.

ეძებენ კრიზისიდან გამოსავალს

მდგომარეობა იტალიაში

რომი, 31 ივლისი. საკ.ფის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვატყობინებს:

ამ ვითარების ფონზე, რომელიც მთავრობის კრიზისის გამო შეიქმნა იტალიაში, ისახება პერსპექტივა, რომ ვადამდე მოეწყობა პარლამენტის არჩევნები. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, შექმნას ახალი კაბინეტი მხოლოდ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისაგან, მხარი არ დაუჭირა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე ძლიერმა პარტნიორმა მთავრობის წინანდელი „შემარცხენეცენტრისტული“ კოალიციიდან — იტალიის სოციალისტურმა პარტიამ. იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ სპეციალურ სხდომაზე გააანალიზა ეს გადაწყვეტილება და დასკვნით რეზოლუციაში აღნიშნა, რომ მხარს ვერ დაუჭერთ ერთფეროვან „მთავრობას, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიოგვთავაზა“.

მ. რუმორი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯ. სარაგატის დავალებით ცდილობს შექმნას ახალი კაბინეტი, ეწვია პრეზიდენტს და გააცნო საქმის ვითარება.

ახლანდელ პირობებში ბევრ ადგილობრივ მიმომხილველს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია ორივე პალატის დათხოვნა და პარლამენტის არჩევნების მოწყობა ვადამდე, ოქტომბრის დამლევს — ნოემბრის დამდეგს. „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, შექმნას „ერთფეროვანი“ მთავრობა, კიდევ უფრო შემცირა ახლანდელი მოწვევის პარლამენტის გადარჩენის ისედაც მცირე შანსები“, წერს საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი „ჟორნალ“.

ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობასა და ქვეყანაში დემოკრატიული ძვრებისათვის ბრძოლას ეძღვნება იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. მოხსენებაში პლენუმზე იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა პ. ინგრაომ გააკრიტიკა ისინი, ვინც ქვეყანას აქეზებს პარლამენტის არჩევნების ვადამდე მოწყობისათვის.

ფაქტები

საგარეოლიანი მოთხოვნა

პარიზი, 1 აგვისტო. (საკ.). საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა მისცეს წარმომადგენლობითს პოლიტიკურ პარტიებსა და პროფკავშირებს შესაძლებლობა, რომ რეგულარულად გამოდიოდნენ სახელმწიფო რადიოთი და ტელევიზიით.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ხაზგასმულია, რომ მთავრობამ და მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებმა საფრანგეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ხამმართველო გადააქცი ეს თავიანთი პროპაგანდის იარაღად, უკანონოდ იყენებენ ინფორმაციის საშუალებებს საზოგადოებრივი აზრის დამუშავებისათვის.

□

თავს დაესხნენ როჯერსს

ტოკიო, 31 ივლისი. (საკ.). დღეს დილით ტოკიოს ხანდაზა აეროპორტში თავს დაესხნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს როჯერსს. როცა როჯერსი თვითმფრინავზე ჯდებოდა სეულში წასასვლელად, მას ეძგერა ხანჯლით შეიარაღებული ახალგაზრდა, ახალგაზრდა მაშინვე დაუპატიმრა პოლიციამ. როჯერსს არაფერი არ ვნებია.

□

კენტაგონი ფულს ხარჯავს...

ვაშინგტონი, 1 აგვისტო. (საკ.). სენატში კვლავ ცხარე კამათი მიმდინარეობს იმის გამო, გამოჰყონ თუ არა ასიგნებანი ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის „სეიფჰარდისათვის“. ამავე დროს პენტაგონი უკვე ხარჯავს ფულს ამ სისტემის აქტიური შემუშავებისათვის მიმდინარე საფინანსო წლის ბიუჯეტიდან, რომელიც ჯერ არ დუმტკიცებია კონგრესს.

სამხედრო უწყების წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ „უესტერნ ელექტრიკ კომპანიასთან“ დაიდო კონტრაქტი 248,6 მილიონ დოლარზე ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შესამუშავებლად, რომლის შექმნა უკვე უახლოეს წლებში მოითხოვს 8-10 მილიარდ დოლარს.

□

აგრესიის ახალი ფაქტი

დამასკო, 31 ივლისი. (საკ.). ისრაელის თვითმფრინავთა ჯგუფი დღეს ნაშუადღევს შემოიჭრა სირიის არაბთა რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. ეს ნათქვამია სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლის კომუნიკეში, რომელიც დამასკოს რადიომ გამოაქვეყნა. სირიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ისრაელის ორი თვითმფრინავი.

□

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 1 აგვისტო. (საკ.). — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმები კვლავ წარმატებით იბრძვიან ამერიკა-საიგონის ჯარების წინააღმდეგ.

21 ივლისს ღამით პატრიოტებმა შეუტიეს „სტრატეგიულ სოფელ ბინიოლონგს, რომელიც ლაგანის პროვინციის, ტანჩუს რაიონში მდებარეობს, მწყობრიდან გამოიყვანეს და დაატყვევეს 50-მდე ამერიკელი ჯარისკაცი. 17 ივლისს ამავე რაიონში პარტიზანებმა გაანადგურეს მარიონეტული „სამოქალაქო გვარდიის“ 2 ასეული. 17 ივლისს ღამით სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმებმა შეუტიეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა კამ რანს და ჩაძირეს 10 ათასი ტონნ წყალწყვილ ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო გემი, მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 160-ზე მეტი ჯარისკაცი და ჩამოაგდეს ხუთი ვერტმფრინავი და მეკორექტირ ე თვითმფრინავი.

ფოტოეკრანი

აგლანეთი. საპა. რიკმახერო ღია ცის ქვეშ ქაბულში.

ფოტო ა. სტუ-ძინისა. (საკ.ფის ფოტოქრონიკა).

ტანგა — ტანზანიის რესპუბლიკაში სიდიდით მეორე ნავსადგური, ერთ-ერთი უძველესი ქალაქია აღმოსავლეთ აფრიკაში. მისი ცენტრალური ნაწილი, სადაც განლაგებულია მთავრობის შენობები, ბანკები და კომპანიები, დაფარულია ქოქოსის პალმებით და უფრო მეტად მოგაგონებთ პარკს, ვიდრე ქალაქის საქმიან ნაწილს.

ფოტო ს. კულიკისა. (საკ.ფის ფოტოქრონიკა).

კუვეიტის დედაქალაქში თვითეულ რაიონზე რამდენიმე საბავშვო ბაღი მოდის. ეს არის სახელმწიფოს ერთ-ერთი ღონისძიებათაგანი, რომელიც აქ შვიდი წლის განმავლობაში განხორციელდა, საბავშვო ბაღებში პატარები იღებენ პირველ გაკვეთილებს კითხვასა და ანგარიშში, ემზადებიან სკოლაში შესასვლელად. სურათზე: კეიფანის საბავშვო ბაღის ბავშვები.

ფოტო რ. მოსეევისა. (საკ.ფის ფოტოქრონიკა).

ბოლო ამბავი

... ეძებენ ... ...

საქართველოს ეკონომიკაში

ზეიმი ოჩხომურის ნაპირებზე

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). მდინარე ოჩხომურის „ავზნიანობა“ საქმეს უჭირვებდა ლესიჭინელებს, განსაკუთრებით მოსწავლეებს, რომლებიც სოფლის ცენტრის სამუალო სკოლაში სწავლობენ.

გადაწყდა ხიდის აგება ოჩხომურის უბანში, სადაც გადის ზუგდიდისაკენ მიმავალი უძველესი გზა. გადაწყვეტეს და შეასრულეს კიდეც... დადგა ხიდის გახსნის საზეიმო დღე. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ლესიჭინის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ი. აბაშიძემ, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ჭიჭინაძემ, ძველმა ბოლშევიკმა ნ. ჯინჯოლავამ, ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შ. იზორიამ, მოსწავლე მარინე ხორავამ და სხვებმა. გაიჭრა ლენტი, ხიდზე მოძრაობა დაიწყო...

ლამაზია ხიდი ოჩხომურზე. მისი სიგრძეა 70 მეტრი, სიგანე — 6 მეტრი და 20 სანტიმეტრი. ხიდის ავტორია ენგურჰესის მშენებლობის საპროექტო ჯგუფის წევრი გ. ცინცაძე, მშენებლობა განახორციელა ჩხოროწყუს საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭომ, რომელსაც მეთაურობს ა.ა. ლაგვილავა. მშენებლობა დაჯდა 72 ათას მანეთამდე, რაც გაიღეს კოლმეურნეობებმა, ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ. მეტად ენერგიულად დაეხმარა მშენებლებს „ლიითონმომარაგების“ ქუთაისის ბაზა (უფროსი ა. ჯავახაძე). ენერგიულად იმოქმედეს სამუშაოთა მწარმოებელმა ა. გულუამ, სპეციალისტებმა ო. გაგუამ, პ. ჯიქიამ, მემონტაჟეებმა შ. ცირეკიძემ, აკ. მანაგაძემ, მებეტონეებმა ნ. ხორავამ, მ. ჯანჯღავამ და სხვებმა. მშენებლებმა თავიანთი გამარჯვება მიუძღვნეს დიდ ლენინურ იუბილეს.

ᲐᲛᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

დები

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲝᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲜᲔᲜ...

მიმდინარე წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთი ქალიშვილი შემოვიდა ჩემთან მიღებაზე და აღელვებულმა მომმართა:

— მაპატიეთ, თქვენთან მომასწავლეს...

— დაბრძანდით, გისმენთ!

— დას დავეძებ!

— დას? რამდენი წლისაა?

— ორი წლით ჩემზე უმცროსია!

— ოჰო, ქალიშვილი ყოფილა. შეყვარებული ეყოლებოდა და ოჯახის დაუკითხავად გაჰყვებოდა. ასეთი სიურპრიზი ახლა მოდაშია, ავტეხთ ხოლმე ალიაქოთს, დავი-დარაბას, მეორე-მესამე დღეს კი გამოგვეცხადებიან — გავიხუმრე დასამშვიდებლად.

— თქვენ ვერ გამიგეთ, გთხოვთ მომისმინოთ! მე ჩემს დას უკვე ცხრა წელია დავეძებ, ერთმანეთი ჯერ არც გვინახავს! არც ვიცნობ!

— როგორ, — გავიკვირვე, — რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ოცდაერთისა ვარ!

— მერე, რას მეუბნებით, თქვენი მკვიდრი და არ განახავთ? ოჯახი, მშობლები, ნათესავები ხომ გყავთ?

— შეიძლება არც ის დამიჯეროთ, რომ მშობლებსაც არ ვიცნობ!

— სრულებით არ გინახავთ?

— წარმოდგენა არა მაქვს მათზე, უთვისტომობა მტანჯავს და ამიტომაც ჩემს დას დავეძებ, ერთადერთ ღვიძლ ადამიანს!

— კი მაგრამ ყოველივე ეს როგორ მოხდა?

— აგიხსნით, ყველაფერს გეტყვით!

— გთხოვთ!

— ოცდაერთი წლის წინათ, — დაიწყო მან, — ვიღაცას — ალბათ დედაჩემს, რუსთავის ჩვილ ბავშვთა სახლის სადარბაზო შესასვლელთან საბანში გახვეული დაუტოვებიავრ. ბავშვთა სახლის მესვეურთ ვენახე და საბნის შიგნით პატარა ქაღალდი აღმოუჩინათ, სადაც ეწერა: „შენა ხარ ნინა ივანეს ასული ბელკოვეიცი“, როცა წამოვიზარდე, ეს ქაღალდი აღმზრდელმა გადმომცა,— ხელჩანთიდან ამოიღო კონვერტი და გამომიწოდა, — ქაღალდი კონვერტშია, დღემდე ვინახავ.

— მას შემდეგ სულ რუსთავში ცხოვრობთ?

— რუსთავში სასკოლო ასაკამდე ვიზრდებოდი, მერე მახარაძის სბავშვო სახლში გადამიყვანეს... ერთ დღეს, გაკვეთილებს შორის შესვენების დროს, ბავშვები სკოლის ეზოში რომ ვთამაშობდით, მაღალი ქალი შემოვიდა. დანახვისთანავე ქალმა რატომღაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. იგი მოგვიახლოვდა, ყველს გვიღიმოდა, სასაუბროდ გვიწვევდა, ბაშვებს სათითაოდ გვეკითხებოდა — რა გვერქვა და რა გვარისა ვიყავით. როცა ჯერი ჩემზე მოდგა ვუპასუხე, ნინა ბელკოვეიცი ვარ-მეთქი, უცნობი გაფითრდა, თავზე ხელი გადამისვა, ნაწნავები შემისწორა, ჯეულზე მიმიკრა, რამდენიმე კამფეტი მომცა, გამომემშვიდობა, ჩამბურჩულა, განახავო, და წავიდა.

გაკვეთილის მაუწყებელმა ზარმა დარეკა. მეგობრები კლასისაკენ გაეშურნენ, მე კი ერთ ადგილას ვიდექი გაშტერებული, გოგანებული... ქალი, რომელიც ორიოდე წუთის წინ იდგა ჩემთან და მეალერსებოდა — მშობელ დედად ჩავთვალე, წამსკდა ტირილი. გავკვირდი მახარაძის ქუჩებში მის საძებნელად, მაგრამ ვერსად მივაგენი...

არ შევმცდარვარ, იგი დედაჩემი აღმოჩნდა.

მესამე დღეს ბარათი მიეიღეი ისიც, ინებეთ, — მომწოდა, — ზეპირად ვიცი, რასაც მწერს: „...შვილო ნინა! ახლა მე შენი წაყვანა არ შემიძლია. ნუ მკითხავ, რატომ?!. იცოდე, რომ შენ და გყავს, ორი წლით შენზე უმცროსი, მას ანა ჰქვია. თავდაპირველად, როგორც შენ, ისე მასაც დაუტოვე ქაღალდი. მე ის ისეთ ადგილას მივატოვე, რომ ვეღარ ვპოულობ. შენ ვალდებული ხარ და მოძებნო, მე კი ამის უფლება დიდიხანია დაკარგე... შენი უღირსი დედა“.

...მეცხრე წელია ვეძებ ჩემ დას, შევჯერე ქვეყანა, მაგრამ საიმედო პასუხი ვერსაიდან მივიღე.

ნინა ბელკოვეცის დის ძებნა დაეკისრა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილების უფროს ინსპექტორს თენგიზ ჭელიძეს და ინსპექტორ თამაზ ჯავახიშვილს. მათ შემუშავებული კონკრეტული გეგმის მიხედვით შეკითხვები გაგზავნეს მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების სამისამართო ბიუროებს, სბავშვო სახლების ხელმძღვანელთა სახელებზე, სთხოვდნენ გულდასმით გადაესინჯათ სამისამართო ფურცლები, სბავშვო სახლების საარქივო მასალები და დადგენილათ ანა ივანეს ასული ბელკოვეცის ადგილსამყოფელი.

ხუთ თვეზე მეტი გავიდა და ჩვენს მიერ გაგზავნილ უამრავ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი მოდიოდა. მაგრამ ერთ დღეს ასეთი მომართვა მივიღეთ: „ანა ივანეს ასული ბელკოვეიცი, 1948 წელს დაბადებული, კომკავშირელი, ხარკოვის სბანაო სამშენებლო სამმართველოში მოვიდა ქალაქ ვოლჩანსკის სბავშვო სახლიდან. მას არ ახსოვს მშობლები, ითვლება მოწონავე მუშა-მშენებლად“...

ასეთი სასახარულო ამბის გაგებისთანავე, ხარკოვის სბანაო სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობას მივმართეთ და ვთხოვეთ უზრუნველეყოთ ანას ჩამოსვლა საქართველოში...

ანა ჩამოვიდა ჩვენთან თბილისში, სადაც შეეახვედრეთ ნინას.

ადვილი წარმოსადგენია, რა ამაღელვებელი და სახარულით აღსავსე იქნებოდა ერთმანეთის უნახავი დების შეხვედრა!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: დები ნინა (მარჯვნივ) და ანა ბელკოვეიცები.



ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲑᲔᲑᲘ

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ფოთი. ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — ნ. ებრალიძის ლირიკული დრამა „ნანა“. სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი ს. ახალაძე, მხატვარი — შ. დარჩია, მუსიკა ეკუთვნის ზ. ლოლაძეს („კომ.“ კორ.).

გორი. გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა პრემიერა — გ. ბათიაშვილის დრამატული ნოველა „ძახილი“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ნ. იონათამიშვილს, მხატვრობა — შ. ხუციშვილს, მუსიკალური მონტაჟი — ზ. კანდელაკს („კომ.“ კორ.).

ბათუმი. ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა სეზონის უკანასკნელ დადგმად მაყურებელს უჩვენა სოფოკლეს „ანტიგონე“. სპექტაკლის დამდგმელი-რეჟისორები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. ინასარიძე. მთავარ როლებს ასრულებენ: ანტიგონე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლ. ყარასაშვილი, კრეონტი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე (საკ. კორ.).

კინოკლუბი მუშაობს

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ მუშაობს ონის სარაიონო კულტურის სახლთან შექმნილი კინომოყვარულთა კლუბი-ეკრანი. ახლახან აქ მოეწყო ახალი ქართული კინოფილმების „არაჩვეულებრივი გამოფენის“ და „ღიმილის ბიჭების“ განხილვა. მოხსენებებით გამოვიდნენ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი მ. სირბილაძე და ონის სარაიონო კულტურის განყოფილების გამგე შ. ჯაფარიძე. კინოფილმების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კინომოყვარულთა კლუბის წევრებმა გ. ლობჟანიძემ, დ. ხახიაშვილმა, მ. გავაშელმა, ნ. სხიერელმა.

ნ. ᲓᲣᲨᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲗᲔᲑᲨᲘ

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ. მთებისა და მყინვარების მკაცრი და წარმტაცი ბუნება. ზვიადად აღმართულა უშბა — კავკასიონის მშვენება. მას თქვენ ზემო მარცხენა ხურათზე ხედავთ; მარჯვნივ კი მყინვარებია — მარად თეთრი და ქათქათა, თვითმფრინავებიდანაც ამაყად მდგარი რომ მოჩანან; ხაუკუნეები ცოცხლდება სვანურ სოფელში. აი ამ სურათზეც მკაფიოდ ჩანს ძველი და ახალი — მამაპაპური კოშკი და ელექტრობოძი: ანკარა, ყინულივით ცივი წყაროებია სვანეთში, და რა ხჯობს ასე ყელის გაგრილება.



ᲤᲝᲢᲝ Დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲩᲮᲣᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲝᲗᲘᲛ-ᲒᲣᲠᲯᲘ

ᲘᲔᲗᲘᲛ-ᲒᲣᲠᲯᲘ ᲓᲘᲓᲣᲑᲔᲨᲘ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ წიგნის მაღაზიებში კვლავ გამოჩნდა იეთიმ გურჯი. გამომცემლობა „მერანმა“ მკითხველს მიაწოდა თბილისური ქალაქური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის — იეთიმ გურჯის ლექსების ახალი კრებული, რომელშიც შევიდა პოეტის ცნობილი, 35 უცნობი ლექსი და პოემა „ვმირი ანაბაჯი“. კრებული სათუთად, სიყვარულით შეუდგენია იეთიმ გურჯის ძველ მეგობარს და მისი პოეზიის პოპულარიზატორს ალექსი ბარნოვს.

...ისანში, ძველ თბილისურ ქუჩაზე ცხოვრობდა დედაქალაქის ღვიძლი შვილი და მოტრფიალე იეთიმ გურჯი. უბრალო ბინა ჰქონდა, მაინც მრავალი სტუმარი ეძალებოდა, შინ იყო თუ არა, მუდამ ღია შესასვლელ კარზე მასპინძლის მოწოდება-ლექსს კითხულობდნენ:

ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ
ᲮᲔᲚᲘ ᲜᲣ ᲐᲮᲚᲔᲑᲗ,
ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛᲔ
ᲛᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ,
ᲫᲕᲔᲚ ᲓᲐᲠᲓᲘ
ᲜᲣᲚᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲐᲮᲚᲔᲑᲗ!

ეწვეოდნენ ყარაჩოღელები, ხალხური მუსიკოსები, მწერლები. ხშირად სტუმრებია ლმეს გულღიად დასვედრია, თბილისის, საქართველოს სადღეგრძელო ერთად შეუსვამთ... იეთიმის გარეთ ბამოსვლას ერთგვარი გამოცცხლება შეჰქონდა ვიწრო ქუჩებში. „იეთიმს სიცოცხლე!“ —ქუდმოხდილნი მიესალმებოდნენ მეზობლები, ნაცნობები, პატივისმცემლები.

შუაგანის ეკიი იყო. თუშური ქუდი ეხურა. რუხ ჩოხას წამოსხმული შავი ნაბადი უფარავდა. ყელში ჯოხი ეჭირა და ნელი, დარბისლური ნაბიჯით გზას მიიკვლევდა მეტეხის უბნისაკენ, ხარფუნისაკენ, სოლოლაკისაკენ, ვერის ბაღისაკენ... ცხოვრების საკუთარი იერით და მაღლიანი ლექსებით გამოირჩეოდა. უყვარდა მტკვარი და თბილისი. განსაკუთრებით იტრფოდა ვერის ბაღს. წაიფარებდა ნაბადს და მერხზე ჩაიძინებდა გრილი ღამის წიაღში... ჰქონდა ასეთ ძილს ერთგვარი სიმბოლური ნირი. სწორედ იეთიმ გურჯის ათქმევინა პაოლო იაშვილმა:

„მე არა მაქვს
საკუთარი ბინაო,
მე წუხელი ქვაზე
დამეძინაო!“

ხელოსნები, ხალხური მუსიკოსები, ალოგიანი ალბათ მატებდნენ ქორწილებს, დღეობებს, საზეიმო ნადიმებს. მედუღაბეთა დასტები ხალხში ავრცელებდნენ იეთიმ გურჯის პოეტურ მარგალიტებს: „უქმად რად ზიხარ, ძმობილო“, „ცივ ზამთარში უსახლკარად“, „სად არის შთთას საფლავი“, „მწყემსსა დიდა აქვიძებდა“, „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“... იგი, როგორც მოხდენილად თქვა იოსებ გრიშაშვილმა, ქადაგებდა ადამიანთა სიყვარულს, სიკეთისა და ჭეშმარიტებისადმი თავდადებულ სამსახურს.

იეთიმ გურჯი 1940 წლის ზაფხულში გარდაიცვალა და სამარეში ჩაიტანა თბილისის ტრფობა. მის ამ ფაქიზ გრძნობას დედაქალაქელებმა სიყვარულითვე უპასუხეს — პოეტი მოწიწებით და პატივით წაასვენეს და ვაკის ძველ სასაფლაოზე დაკრძალეს. ვიდრე მიწას მიაყრიდნენ, თავისი განუყრელი შავი ნაბადი გადაუფარეს და ამით პოეტის ანდერძი შეასრულეს:

„...მკვდარს ვარდს
ნუღარ დამადვი,
ზედ კუბოზე
დამაფარეთ
ისევ ჩემი
ნაბადი“.

გავიდა წლები, და შემდეგ სამარხზე აღუმართეს მისივე ნაბდისფერი მარმარილოს ძეგლი, რომელზეც ამკვეთილია იეთიმ გურჯის სახე. საფლავზე მწერალთა მეტინგი გაიმართა. პოეტმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ იგი განსვენებულ მხატვარს ნიკო ფიროსმანაშვილს შეადარა — „ამ ორმა მომღერალმა შემოგვინახა გუშინდელი თბილისი და განა მარტო თბილისი?“ იეთიმ გურჯის საფლავის ძეგლით შემკობა მისი პოეზიის აღიარებისა და ხსოვნის პატივისცემის გამოხატულება იყო. კვლავ ცოცხლობდნენ და ახალ მეგობრებს იძენდნენ იეთიმ გურჯის გულით დაწერილი ლექსები.

პოეტისა თუ საზოგადო მოღვაწეის საზოლოო განსმენელი ხალხია. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საკალაქო საბჭოს აღმასკომს და მწერალთა კავშირს ბევრი თბილისელი მიმართავდა თხოვნით კიდევ უფრო ღირსეულად დაფასებულიყო იეთიმ გურჯის ღვაწლი.

და აი პოეტის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით გადაწყდა იეთიმ გურჯისათვის საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში მიეწინათ საბოლოო ბინა.

ახლახან იეთიმ გურჯის პატივისმცემლები ვაკის სასაფლაოზე შეიკრიბნენ. ფრთხილად გათხარეს მგზნის სამარხი, და მისი ნეშტი დიდების პანთეონში გადაასვენეს.

ხალხური საკრავების ტკბილი ჰანგები ეღერდა იეთიმ გურჯის სსოვნის საღამოზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები და პოეტის სხვა პატივისმცემლები. დიდუბეში იეთიმ გურჯის ძეგლიც გადაიტანეს.

იეთიმ გურჯის დიდების ღირსეული ბინადარი გახდა!

Ი. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების თბილისის „ლოკომოტივისა“ და ვილნიუსის „ყალგირისის“ შეხვედრები ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელთან“ და ფერგანის „ნეფტიანიკთან“. „ლოკომოტიველებმა ეს გასვლითი თამაში წაგეს 1:2, ხოლო „ყალგირისმა“ საკუთარ მოედანზე მოიგო მატჩი 2:0.

ამრიგად, მეოთხე ქვეჯგუფში ლიდერი გახდა ვილნიუსის „ყალგირისი“, რომელსაც 33 ქულა აქვს. თბილისის „ლოკომოტივმა“ 32 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ᲡᲐᲣᲐᲠᲘᲙᲐᲞᲘ ᲞᲘᲚᲘᲙᲐᲕᲖᲔ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 31 ივლისი. (საკდისის სპეც. კორ.). ოლიმპიურმა ლაურეატებმა და მსოფლიოს ჩემპიონებმა გუნდურ ასპარეზობაში — სსრ კავშირის ხმლით მოფარიკაველებმა დღესაც დაამტკიცეს, რომ მაღალი კლასის ოსტატები არიან. მათ პირველი ადგილი დაიკავეს სოციალისტური ქვეყნების მოფარიკაველთა საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲨᲔᲚᲝᲜᲨᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ „ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 1:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0, „ავტომობილისტი“ (ერევანი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 2:0. „დაკინი“ (ზაქათალა) — „ტექსტილშიკი“ (მინგეჩაური) 1:1, „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „არეზი“ (ნახჩევანი) 3:0, „ლორი“ (ალოვოკანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „მაღაროელი“ (ტყიბული) 1:0.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲨᲔᲚᲝᲜᲨᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ „ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 1:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0, „ავტომობილისტი“ (ერევანი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 2:0. „დაკინი“ (ზაქათალა) — „ტექსტილშიკი“ (მინგეჩაური) 1:1, „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „არეზი“ (ნახჩევანი) 3:0, „ლორი“ (ალოვოკანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „მაღაროელი“ (ტყიბული) 1:0.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1 აგვისტო. (საკდისის კორ. რ. სერებრიანიოვი). საფრანგეთის ქალაქ ბურ-სენ-მორისში გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონატი ბაიდერისა და კანოეს სლალომში.

ჩემპიონატში მონაწილეობს 17 ქვეყნის — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ავსტრიის, ბელგიის, კანადის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, იაპონიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდის, პოლონეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის და იუგოსლავიის 325 სპორტსმენი. ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე ჩავიდა ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხთა სახელმწიფო მდივანი ჟოზეფ კომიტი.

მაგრამ ამ ცერემონიას ჩრდილი მიაყენა დისკრიმინაციულმა ინციდენტმა. საორგანიზაციო კომიტეტმა უფლება არ მისცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას პარადის დროს აღემართა თავისი ქვეყნის ალაში. მაშინ, სავსებით სამართლიანად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა არ მიეღოთ პარადში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებთან სოლიდარობის ნიშნად პარადში მონაწილეობა არ მიუღიათ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგაციებს.

31 ივლისს საღამოს საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც გამოთქვა იმედი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია არ წავა ჩემპიონატიდან.

ჩემპიონატი გაიმართება 1-6 აგვისტოს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ა. ო. ბულია — საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. ბ. ᲗᲘ. დოლიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ;

ამხ. ბ. ᲘᲐ. ᲑᲘᲜᲐᲜᲘᲫᲔ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან;

ამხ. ა. ᲕᲐ. ᲫᲘᲛᲘᲗᲠᲘ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ნ. ᲗᲘ. ᲑᲘᲭᲘᲙᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ გაათავისუფლა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. გივი ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘᲡ-ძე ᲨᲐᲛᲘᲛᲘᲠᲨᲕᲘᲚᲘ დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ᲑᲐᲜᲜᲘᲙᲝᲕᲘ დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲜᲓᲠᲘᲜ-ძე ᲑᲐᲜᲜᲘᲙᲝᲕᲘ დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად. (საქდისი).

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — კონცერტი თვითმოქმედი ანსამბლების მონაწილეობით, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30—რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.00 — „პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), 11.45 ა. მაჭავარიანი. კამერული ნაწარმოებები, 12.05 — მუსიკალური რადიოფიში, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „ჰ. ეისლერი“, 14.00 —» მოსწავლეთათვის. „კარავი მტკვრის პირას“. რადიოდადგმა, 15.00 — მეგობრობის კონცერტი. ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — ო. ჭილაძის, გ. ჭანტურიას, გ. ეგგეშკორის ლექსები. კითხულობენ ავტორები, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — მ. დავითაშვილი. საბალეტო სიუიტა „მზის ჭორწილი“, 17.30 — საუბარი „რკინიგზელის საკავშირო დღე“, 17.45 — შოპენი. მაზურკები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“, 19.00 — „ასე გვიანდერძა ლენინმა“ — „დიადი სარკინიგზო ქვეყანა“ (მოსკოვი), 19.40 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.30 — თეატრი მიკროფონთან. „მეხდაცემული კაკალი“. მესხეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი, 22.50 — შ. მშველიძე. სიმფონიური სურათი „მზის ამოსვლა“, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲤᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.00 — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „მეოლიმპიადან მეოლიმპიადე“, 12.30 — საუბარი ნანარსაწინააღმდეგო თემაზე, 13.00 — ქვეყნის მთავარი გამოფენის იუბილე. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 30 წლისთავი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — მხატვრული ფილმი „გრაფისეული ნაგრეებზე“, 17.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.25 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.55 — „კინოაფიშა“, 19.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სატელევიზიო ატლასი — კარელიის ასსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ირმის ნახტომი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 20.45 — გაჯადოცემა ციცლიდან „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“, 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა; 22.10 — მხატვრული ფილმი „მკვდარი სეზონი“ (I სერია).

ᲠᲐ ᲕᲬᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განაცხადებისა: ბარტყული — 99-87-61, ბრიგადების —93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელ